



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოლოტოვა ნატალია ვიქტორის ასული

ბოლოტოვა ნატალია ვიქტორის ასული (7. V. 1928, ქ. ვიქსა, ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქი, – 29. VII. 2003, მოსკოვი), ბალეტის მსახიობი, პედაგოგი. საქართვე. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1990). 1945 დაამთავრა ლენინგრადის ა. ვაგანოვას სახ. ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ. მ. რომანოვა), ხოლო 1969 – ამავე სასწავლებლის პედ. განყოფილება. მუშაობდა ერევნისა (1945–46) და მინსკის (1946–48) თეატრებში. 1949–67 ნიჟნი-ნოვგოროდის ა. პუშკინის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. 1969–89 მოღვაწეობდა მოსკოვის ქორეოგრ. სასწავლებელში. მოსწავლეები: ნ. ანანიაშვილი, ი. ლიეპა, ს. ცოი, ი. იოვინა, კ. რიჟოვა და სხვ. ზ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ცისკარიძის, ი. ნიორაძის, ი. ზელენსკის, დ. მახათელის წარმატებულ კარიერაში. 1989–91 ზ. მეულლესთან, ბ. რახმანინთან ერთად მოიწვიეს თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრ. სასწავლებელში როგორც კლასიკური ცეკვის პედაგოგი და მეთოდისტი. მისი მონაწილეობით იყვნენ: ნ. ოჩიაური, ც. ჩოლოყაშვილი, ვ. ახმეტელი და სხვ.

ა. ჩხეიძე
